ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2012 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე

ეს ანგარიში, რომლის წაკითხვა უნდა მოხდეს დამოუკიდებელი აუდიტორის მე-2 გვერდზე წარმოდგენილ პასუხისმგებლობებთან ერთად, განსაზღვრულია შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია გირო კრედიტის" („მისო") ფინანსურ ანგარიშგებასთან მიმართებაში მისოს ხელმძღვანელობის და დამოუკიდებელი აუდიტორის შესაბამისი პასუხისმგებლობების გამიჯნვის თვალსაზრისით.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს მისოს ფინანსურ მდგომარეობას 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და კაპიტალში ცვლილებებს ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის, მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის („ფასს მსს") შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ გამოყენებაზე;
- გონივრულ მსჯელობაზე და შეფასებებზე;
- განცხადებაზე, არის თუ არა ფინანსური ანგარიშგება მომზადებული ფასს მსს-ის მიხედვით და მნიშვნელოვანი გადახრები ფასს მსს-დან წარმოდგენილი და ახსნილი;
- ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაცვით თუ შეუსაბამო არაა ვარაუდი, რომ პროგნოზირებად მომავალში მისოს ბიზნესის ფუნქციონირებას საფრთხე არ ემუქრება.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მისოში ეფექტიანი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც ნებისმიერ დროს, გონივრული სიზუსტით წარმოადგენს მისოს ფინანსურ მდგომარეობას და იძლევა რწმუნებას, რომ მისოს ფინანსური ანგარიშგება შეესაბამება ფასს მსს-ის მოთხოვნებს;
- სავალდებულო საბუღალტრო ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
- მისოს აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე;
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებული 2012 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით, ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2013 წლის 15 მაისს.

გიორგი გუგუმბერიძე დირექტორი	ქეთევან ფირცხალაიშვილი ბუღალტერი

Capto group
67, Agmashenebeli Ave.
Tbilisi 0102, Georgia
T +995 32 255 88 99 **F** +995 32 295 11 02
www.rsmcapto.ge

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია გირო კრედიტის“ მფლობელებს და ხელმძღვანელობას:

ჩვენ ჩავატარეთ აუდიტი შპს „მისო გირო კრედიტის“ („მისო“) თანდართული ფინანსური ანგარიშგების, რომელიც მოიცავს ფინასური მდგომარეობის ანგარიშგებას 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და სრული შემოსავლების, კაპიტალში ცვლილებების, ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებებს 2012 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის, აგრეთვე ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის ძირითად პრინციპებსა და სხვა განმარტებით შენიშვნებს („ფინანსური ანგარიშგება“).

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ამ ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის („ფასს მსს“) შესაბამისად. პასუხისმგებლობა მოიცავს: შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვას და შენარჩუნებას, რაც უნდა უზრუნველყოფდეს მომზადებას და სამართლიან წარდგენას ფინანსური ანგარიშგებისა, რომელიც არ შეიცავს როგორც შეცდომით, ისე თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

ჩვენი პასუხისმგებლობაა, ჩვენს მიერ ჩატარებული აუდიტის საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება ამ ფინანსურ ანგარიშგებაზე. აუდიტი ტარდება აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ეს სტანდარტები მოითხოვს, რომ ჩვენ დავიცვათ ეთიკის მოთხოვნები და დავგეგმოთ და განვახორციელოთ აუდიტი გონივრული რწმუნების მოსაპოვებლად იმის შესახებ, არის თუ არა ფინანსური ანგარიშგება თავისუფალი არსებითი უზუსტობებისგან.

აუდიტი მოიცავს პროცედურების გახორციელებას აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ინფორმაციაზე. შერჩეული პროცედურები დამოკიდებულია აუდიტორის მსჯელობაზე, მათ შორის ფინანსურ ანგარიშგებაში როგორც თაღლითობით, ისე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობების რისკის შეფასებაზე, ამ რისკის შეფასებისას, აუდიტორი ითვალისწინებს შიდა კონტროლის სისტემას, რომელიც შეესაბამება ორგანიზაციის მიერ ფინანსური ანგარიშგების მომზადებას და სამართლიან წარდგენას. აუდიტი აგრეთვე გულისხმობს გამოყენებული ბუღალტრული პოლიტიკის და ბუღალტრული შეფასებების შესაბამისობის შეფასებას.

ჩვენ ვთლით, რომ აუდიტორული მტკიცებულებები, რომლებიც ჩვენ მოვიპოვეთ არის საკმარისი და შესაფერისი საფუძველი პირობითი აუდიტორული მოსაზრების გამოსახატავად.

Capto Group is a member of the RSM network. Each member of the RSM network is an independent accounting and advisory firm which practices in its own right. The RSM network is not itself a separate legal entity in any jurisdiction.

პირობით მოსაზრების საფუძველი

1) მისოს საპროცენტო შემოსავალი 2012 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის - 606,882 ლარი მოიცავს ავტომანქანებით უზრუნველყოფილი სესხებით გამომუშავებულ შემოსავალს 15,824 ლარის ოდენობით და ძვირფასი ლითონებით უზრუნველყოფილი სესხებით გამომუშავებულ შემოსავალს 4,825 ლარის ოდენობით, რომელთა დარიცხვა მოხდა პირველადი დოკუმენტაციის გარეშე, ხელოვნური გატარებით, რათა მომხდარიყო მისოს სააღრიცხვო სისტემაში გამოვლენილი სხვაობების კორექტირება. მისოს სააღრიცხვო ჩანაწერები მიუთითებს, რომ ხელმძღვანელობის მიერ ზემოაღნიშნული საპროცენტო შემოსავლის არ დარიცხვის შემთხვევაში, საპროცენტო შემოსავალი საანგარიშგებო პერიოდში შემცირდებოდა 20,649 ლარით. შესაბამისად, კაპიტალის ნაშთი 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მოგების გადასახადის და წმინდა მოგების ოდენობა ამ თარიღში დასრულებული წლისათვის შემცირდებოდა 17,552 ლარით, 3,097 ლარით და 17,552 ლარით, შესაბამისად. ჩვენ არ გვქონდა შესაძლებლობა, შეგვეფასებინა ზემოაღნიშნულის გავლენა გაცემული სესხების ნაშთზე 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ვინაიდან მისოს სააღრიცხვო ჩანაწერები არ მიუთითებს პირველადი დოკუმენტაციის გარეშე დარიცხული საპროცენტო შემოსავლის რა ნაწილი დაფარეს მსესხებლებმა;
2) მისოს საკომისიო შემოსავალი 2012 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის - 36,816 ლარი მთლიანად შედგება სესხის გაცემის საკომისიოსგან, რომელიც ხელმძღვანელობამ არ შეიყვანა გარიგების ფასში გაცემული სესხების თავდაპირველი აღიარებისას, რაც წარმოადგენს ფასს მსს-დან გადახვევას. მისოს სააღრიცხვო ჩანაწერები მიუთითებს, რომ ხელმძღვანელობის მიერ, გაცემული სესხების თავდაპირველი აღიარებისას, სესხის გაცემის საკომისიოს გარიგების ფასში შეყვანის შემთხვევაში, საკომისიო შემოსავალი შემცირდებოდა 36,816 ლარით. თუმცა ჩვენ არ გვქონდა შესაძლებლობა, შეგვეფასებინა ზემოაღნიშნულის გავლენა გაცემული სესხების ამორტიზებულ ღირებულებაზე, ვინაიდან ყველა გაცემული სესხის ამორტიზებული ღირებულების გადათვლას არ მოიცავდა ჩვენი აუდიტი. შესაბამისად, ჩვენ არ გვქონდა შესაძლებლობა, შეგვეფასებინა ზემოაღნიშნულის გავლენა კაპიტალის ნაშთზე 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და საპროცენტო შემოსავალზე, მოგების გადასახადზე და წმინდა მოგებაზე ამ თარიღში დასრულებული წლისათვის.

პირობითი მოსაზრება

ჩვენი აზრით, პირობითი მოსაზრების საფუძველის აბზაცში აღწერილი საკითხების შესაძლო გავლენის გარდა, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს მისოს ფინანსურ მდგომარეობას 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მის ფინანსურ საქმიანობას და ფულის მოძრაობას ამ თარიღში დასრულებული წლისთვის, მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

სხვა გარემოება

მისოს 2011 წლის 31 დეკემბრის ფინანსური უწყისები არ არის აუდიტირებული.

15 მაისი 2013, კაპტო ჯგუფი RSM-ის წევრი ფირმა

Capto Group. The member firm of RSM.

სრული შემოსავლის ანგარიშგება

		2012	2011 არააუდიტირებული
	შენიშვნა	ლარი	ლარი
საპროცენტო შემოსავალი	4	606,882	174,184
საპროცენტო ხარჯი	4	(102,495)	(55,820)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი	**4**	**504,387**	**118,364**
სესხის გაუფასურების ზარალი		(107,676)	(12,794)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი სესხის გაუფასურების ზარალის შემდეგ		**396,711**	**105,570**
შემოსავალი ჯარიმებიდან	5	65,706	1,087
საკომისიო შემოსავალი	6	36,816	-
სხვა საოპერაციო შემოსავალი		6,038	5,150
საოპერაციო ხარჯები	7	(61,109)	(12,258)
კურსთა შორის სხვაობის წმინდა მოგება/(ზარალი)	8	(1,885)	1,459
მოგება გადასახადამდე		**442,277**	**101,008**
მოგების გადასახადის ხარჯი	9	(82,684)	(16,961)
წლის მოგება		**359,593**	**84,047**

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2013 წლის 15 მაისს.

გიორგი გუგუმბერიძე დირექტორი	ქეთევან ფირცხალაიშვილი ბუღალტერი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

		2012	2011 არააუდიტირებული
	შენიშვნა	GEL	GEL
აქტივები			
ძირითადი საშუალებები	10	297,618	3,299
გაცემული სესხები	11	1,012,768	534,441
სხვა აქტივები	12	11,539	711
ფული და ფულის ეკვივალენტები	13	44,863	20,741
სულ აქტივები		**1,366,788**	**559,192**
კაპიტალი			
მფლობელთა კაპიტალი	14	251,083	251,083
გაუნაწილებელი მოგება		350,826	86,671
სულ კაპიტალი		**601,909**	**337,754**
ვალდებულებები			
მიღებული სესხები	15	681,732	174,290
გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულება	16	342	323
სხვა ვალდებულებები	17	16,943	30,187
მიმდინარე მოგების გადასახადის ვალდებულება		65,862	16,638
სულ ვალდებულებები		**764,879**	**221,438**
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		**1,366,788**	**559,192**

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2013 წლის 15 მაისს.

გიორგი გუგუმბერიძე
დირექტორი

ქეთევან ფირცხალაიშვილი
ბუღალტერი

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

	მფლობელთა კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
	ლარი	ლარი	ლარი
ნაშთი 2011 წლის 1 იანვარს, არააუდიტირებული	800	2,624	3,424
წლის მოგება	-	84,047	84,047
სულ სრული შემოსავალი	-	84,047	84,047
შენატანი კაპიტალში	250,283	0	250,283
ნაშთი 2011 წლის 31 დეკემბერს, არააუდიტირებული	251,083	86,671	337,754
წლის მოგება	-	359,593	359,593
სულ სრული შემოსავალი	-	359,593	359,593
გადახდილი დივიდენდები - 2011 წლის საბოლოო	-	(95,438)	(95,438)
ნაშთი 2012 წლის 31 დეკემბერს	251,083	350,826	601,909

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2013 წლის 15 მაისს.

გიორგი გუგუმბერიძე დირექტორი	ქეთევან ფირცხალაიშვილი ბუღალტერი

ფულის მოძრაობის ანგარიშგება

		2012	2011 არააუდიტირებული
ფულის მოძრაობა საოპერაციო საქმიანობაში	შენიშვნა	GEL	GEL
წლის მოგება		359,593	84,047
კორექტირებები:			
მოგების გადასახადის ხარჯი		82,684	16,961
ცვეთა და ამორტიზაცია	7	1,614	694
საოპერაციო აქტივების და ვალდებულებების ცვლილება:			
გაცემული სესხების ზრდა		(478,327)	(488,863)
სხვა აქტივების ზრდა		(10,828)	(1,710)
სხვა ვალდებულებების ზრდა/(შემცირება)		(13,244)	30,689
საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული ფული		**(58,508)**	**(358,182)**
გადახდილი მოგების გადასახადი		(33,559)	-
საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფული		**(92,067)**	**(358,182)**
ფულის მოძრაობა საინვესტიციო საქმიანობაში			
ძირითადი საშუალებების შეძენა	10	(295,815)	(3,019)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფული		**(295,815)**	**(3,019)**
ფულის მოძრაობა საფინანსო საქმიანობაში			
შენატანი მფლობელთა კაპიტალში		-	250,283
მიღებული სესხების ზრდა		507,442	106,279
გადახდილი დივიდენდი		(95,438)	-
საფინანსო საქმიანობიდან გენერირებული ფული		**412,004**	**356,562**
ფულის და ფულის ეკვივალენტების ზრდა/(შემცირება)		**24,122**	**(4,639)**
ფულის და ფულის ეკვივალენტების მოძრაობა			
ნაშთი წლის დასაწყისში		20,741	25,380
ზრდა/(შემცირება)		24,122	(4,639)
ნაშთი წლის ბოლოს	**13**	**44,863**	**20,741**

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2013 წლის 15 მაისს.

გიორგი გუგუმბერიძე დირექტორი	ქეთევან ფირცხალაიშვილი ბუღალტერი

განმარტებითი შენიშვნები

1 ზოგადი ინფორმაცია

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია გირო კრედიტი" („მისრ") რეგისტრირებულია და ფუნქციონირებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად (დაფუძნდა 2010 წლის 21 ოქტომბერს). ოფისის მისამართია: თბილისი, გამსახურდიას გამზირი 3. მისოს ძირითადი საქმიანობაა ავტომანქანებით, ძვირფასი ლითონებით, უძრავი ქონებით და კომპიუტერული და სხვა ტექნიკით უზრუნველყოფილი მიკრო სესხების (ერთ მსესხებელზე 50,000 ლარამდე) გაცემა. მიკროსაფინანსო ორგანიზაციის სტატუსის დარეგისტრირება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ მოხდა 2011 წლის 20 დეკემბერს.

მისოს დამფუძნებელი და 100%-ის მფლობელია გიორგი გუგუმბერიძე.

მისოში 2012 წლის 31 დეკემბერს დასაქმებული იყო 4 თანამშრომელი (2011 წლის 31 დეკემბერს: 2).

ეს ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაშვებად ხელმძღვანელობის მიერ 2013 წლის 15 მაისს.

2 მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

ეს ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპზე დაყრდნობით მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის („ფასს მსს") შესაბამისად, რომელიც გამოშვებულია ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს მიერ. იგი წარმოდგენილია ქართულ ლარში („ლარი"). ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების პრინციპის საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ქვემოთ წარმოდგენილი სააღრიცხვო პოლიტიკა სხვა პრინციპს ითვალისწინებს.

ვინაიდან მისო დაფუძნდა 2010 წლის ბოლოს, ფინანსურ ანგარიშგებას ამზადებს პირველად.

ფინანსური ინსტრუმენტები

(ა) გაცემული სესხები

გაცემული სესხები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით (რაც მოიცავს გარიგების ხარჯებს) და შემდგომში იზომება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, მისო აფასებს არის თუ არა ღირებულებით ან ამორტიზებული ღირებულებით გაზომილი ფინანსური აქტივების გაუფასურების ობიექტური სამხილი. იმ შემთხვევაში თუ არსებობს ამგვარი სამხილი, მისო დაუყოვნებლივ აღიარებს გაუფასურების ზარალს სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. გაუფასურების ზარალი არის სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და მოსალოდნელი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებას შორის. ეს უკანასკნელი განისაზღვრება აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებით.

(ბ) მიღებული სესხები

მიღებული სესხები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით (რაც მოიცავს გარიგების ხარჯებს) და შემდგომში იზომება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით.

შემოსავლის და ხარჯის აღიარება

(ა) საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი

საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი აღიარდება ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით.

განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

(ბ) შემოსავალი ჯარიმებიდან

შემოსავალი ჯარიმებიდან აღიარდება მაშინ, როცა ხელმძღვანელობა იღებს გადაწყვეტილებას, გამოიყენოს მსესხებელზე ჯარიმის დაკისრების უფლება, ამ უკანასკნელის მიერ სასესხო ხელშეკრულების დარღვევის გამო.

(გ) საოპერაციო ხარჯები

თანამშრომელთა ხარჯი - დარიცხული ხელფასის, ბონუსების და არაფულადი სარგებლის დარიცხვა ხდება იმ საანგარიშგებო წელს, როდესაც თანამშრომლების მიერ გაიწევა შესაბამისი მომსახურება. კომპანიას არ აქვს შრომითი საქმიანობის შემდგომი ვალდებულებები.

საოფისე იჯარა - საოპერაციო იჯარის გადასახდელები აღიარდება წრფივი მეთოდით, კონტრაქტით გათვალისწინებული იჯარის ვადის განმავლობაში.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

კომპანიის სამუშაო ვალუტას წარმოდგენს ქართული ლარი („GEL"). უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ტრანზაქციები თავდაპირველად აღიარდება სამუშაო ვალუტაში ტრანზაქციის განხორციელების თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. საანგარიშგებო თარიღში უცხოურ ვალუტაში დაფიქსირებული მონეტარული აქტივებისა და ვალდებულებების გადაფასება ხორციელდება ამ თარიღისათვის არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. გადაფასებით წარმოქმნილი საკურსო სხვაობები აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

გაცვლითი კურსები:

	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსი	
	აშშ დოლარი	ევრო
გაცვლითი კურსი 2012 წლის 31 დეკემბერს	1.66	2.18
გაცვლითი კურსი 2011 წლის 31 დეკემბერს	1.67	2.16
საშუალო გაცვლითი კურსი 2012 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის	1.65	2.12
საშუალო გაცვლითი კურსი 2011 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის	1.69	2.35

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი წარმოადგენს მთლიან თანხას, რომელიც აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში მიმდინარე მოგების გადასახადთან და გადავადებულ მოგების გადასახადთან დაკავშირებით.

მიმდინარე მოგების გადასახადი არის მიმდინარე ან გასული პერიოდების დასაბეგრი მოგების ან ზარალის შესაბამისი მოგების გადასახადის გადასახდელი ან გამოყენებადი თანხა.

გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი ან ვალდებულება აღიარდება წარსულში მომხდარი ოპერაციების შედეგად მომავალ საანგარიშგებო პერიოდებში გამოყენებად ან გადასახდელ თანხებთან დაკავშირებით. გადავადებული მოგების გადასახადი წარმოიქმნება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებსა და მათ შესაბამის საგადასახადო ბაზებს შორის სხვაობების (ცნობილი, როგორც დროებითი სხვაობა) არსებობის გამო.

გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულება აღიარდება ყველა იმ დროებითი სხვაობებისთვის, რომელთა გამო მოსალოდნელია მომავალ საანგარიშგებო პერიოდებში დასაბეგრი მოგების გაზრდა. გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი აღიარდება ყველა იმ დროებითი სხვაობებისთვის, რომელთა გამო მოსალოდნელია მომავალ საანგარიშგებო პერიოდებში დასაბეგრი მოგების შემცირება და აგრეთვე გამოუყენებელი საგადასახადო ზარალისთვის.

გადავადებული მოგების გადასახადი გამოითვლება დასაბეგრი მოგების (ზარალის) იმ პერიოდის საგადასახადო განაკვეთზე

განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

გამრავლებით, როდესაც მენეჯმენტის მოლოდინით უნდა მოხდეს საგადასახადო აქტივის რეალიზაცია ან საგადასახადო ვალდებულების დაფარვა.

მფლობელთა კაპიტალი და გადასახდელი დივიდენდები

მფლობელთა კაპიტალი განისაზღვრება მისოს დამფუძნებლის გადაწყვეტილებით. გასაცემი დივიდენდების ვალდებულება აღიარდება იმ საანგარიშგებო წელს, როდესაც ხდება მათი გამოცხადება.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები წარმოდგენილია ღირებულებასა და დაგროვილ ცვეთას, ასევე, არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების რეზერვს შორის სხვაობით.

დაუმთავრებელი მშენებლობის ცვეთა არ ხდება. ყველა სხვა აქტივზე ცვეთის დარიცხვა, ღირებულებასა და ნარჩენ ღირებულებას შორის სხვაობის სასარგებლო მომსახურების ვადაზე განაწილების მიზნით, წარმოებს წრფივად წლიური 14%-იანი განაკვეთით.

თუ არსებობს ძირითადი საშუალებების ცვეთის განაკვეთის, სასარგებლო მომსახურების ვადის ან ნარჩენი ღირებულების მნიშვნელოვანი ცვლილების ინდიკაცია, ახალი მოლოდინების ასახვის მიზნით, ცვეთის დარიცხვის ცვლილება აისახება არარეტროსპექტულად.

ძირითადი საშუალების რეალიზაციით წარმოქმნილი მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა მიღებულ საფასურსა და ნარჩენ საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება შესაბამისი პერიოდის მოგებად ან ზარალად.

ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის ხელმძღვანელობა აფასებს, ხომ არ არსებობს ძირითადი საშუალებების გაუფასურების ინდიკაცია. თუ ამგვარი ნიშანი არსებობს, ხელმძღვანელობა აფასებს აქტივის (აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებად ღირებულებას, რომელიც წარმოადგენს უდიდესს აქტივის რეალურ ღირებულებასა და გამოყენებით ღირებულებას შორის. გაუფასურების შემთხვევაში აქტივის საბალანსო ღირებულება მცირდება ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ სიდიდით, რითაც იგი აღემატება ამ აქტივის გადაფასების რეზერვს კაპიტალში.

3 მსჯელობები და შეფასების განუსაზღვრელობის საკვანძო მიზეზები

ხელმძღვანელობამ გააკეთა შეფასებები ფინანსური აქტივების გაუფასურებასთან დაკავშირებით, როგორც ეს წარმოდგენილია მე-11 განმარტებით შენიშვნაში.

4 საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი

	2012	2011
	ლარი	ლარი
საპროცენტო შემოსავალი ავტომანქანით უზრუნველყოფილი სესხებიდან	344,364	105,045
საპროცენტო შემოსავალი ძვირფასი ლითონებით უზრუნველყოფილი სესხებიდან	131,034	51,034
საპროცენტო შემოსავალი კომპიუტერული და სხვა ტექნიკით უზრუნველყოფილი სესხებიდან	93,663	17,773
საპროცენტო შემოსავალი უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხებიდან	37,821	332
	606,882	174,184
საპროცენტო ხარჯი ფიზიკური პირებისგან მიღებულ სესხებზე	(55,674)	(30,703)
საპროცენტო ხარჯი ბანკებისგან მიღებულ სესხებზე	(46,821)	(25,117)
	(102,495)	(55,820)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი	**504,387**	**118,364**

განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

5 შემოსავალი ჯარიმებიდან

	2012	2011
	ლარი	ლარი
შემოსავალი ჯარიმებიდან ავტომანქანით უზრუნველყოფილ სესხებზე	59,013	1,087
შემოსავალი ჯარიმებიდან ძვირფასი ლითონებით უზრუნველყოფილ სესხებზე	4,597	-
შემოსავალი ჯარიმებიდან უძრავი ქონებით უზრუნველყოფილ სესხებზე	2,096	-
	65,706	**1,087**

6 საკომისიო შემოსავალი

	2012	2011
	ლარი	ლარი
საკომისიო შემოსავალი ავტომანქანით უზრუნველყოფილ სესხებზე	32,480	-
საკომისიო შემოსავალი უძრავი ქონებით უზრუნველყოფილ სესხებზე	2,587	-
საკომისიო შემოსავალი ძვირფასი ლითონებით უზრუნველყოფილ სესხებზე	1,261	-
საკომისიო შემოსავალი კომპიუტერული და სხვა ტექნიკით უზრუნველყოფილ სესხებზე	488	-
	36,816	**-**

7 საოპერაციო ხარჯები

	2012	2011
	ლარი	ლარი
თანამშრომელთა ხარჯი	33,627	7,125
საოფისე იჯარა	9,916	4,346
პროფესიონალური მომსახურება	5,880	-
კომუნიკაცია	2,180	-
ცვეთა და ამორტიზაცია	1,614	694
გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა	1,489	4
კომუნალური ხარჯები	1,113	-
სხვა საოპერაციო ხარჯები	5,290	89
	61,109	**12,258**

8 კურსთა შორის სხვაობის წმინდა მოგება/(ზარალი)

	2012	2011
	ლარი	ლარი
კურსთა შორის სხვაობის მოგება	64,468	42,569
კურსთა შორის სხვაობის ზარალი	(66,353)	(41,110)
	(1,885)	**1,459**

განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

9 მოგების გადასახადის ხარჯი

	2012	2011
	ლარი	ლარი
მიმდინარე გადასახადი	82,665	16,638
გადავადებული გადასახადი (იხ. მე-16 განმარტებითი შენიშვნა)	19	323
	82,684	**16,961**

მოგების გადასახადი არის წლიური მოგების 15%.

2012 წლის მოგების გადასახადის ხარჯი 82,684 ლარი (2011: 16,961 ლარი) განსხვავდება იმ თანხისგან, რომელიც მიიღება გადასახადამდე მოგების გამრავლებით 15%-ზე, ვინაიდან, საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად, სესხის გაუფასურების ზარალი არ ექვემდებარება ერთობლივი შემოსავალიდან გამოქვითვას.

10 ძირითადი საშუალებები

	დაუმთავრებელი მშენებლობა	სხვა ძირითადი საშუალებები	სულ
	ლარი	ლარი	ლარი
ღირებულება			
2012 წლის 1 იანვარი	-	**3,849**	**3,849**
შეძენა	283,621	12,194	295,815
2012 წლის 31 დეკემბერი	**283,621**	**16,043**	**299,664**
დაგროვილი ცვეთა			
2012 წლის 1 იანვარი	-	**550**	**550**
წლიური ცვეთა	-	1,496	1,496
2012 წლის 31 დეკემბერი	-	**2,046**	**2,046**
ნარჩენი ღირებულება			
2012 წლის 31 დეკემბერი	**283,621**	**13,997**	**297,618**

დაუმთავრებელი მშენებლობა მოიცავს საოფისე ფართს, რომელიც შეძენილია 2012 წლის 30 ოქტომბერს 160,000 აშშ დოლარად (265,536 ლარი). საოფისე ფართის მისამართია: თბილისი, გამსახურდიას გამზირი 3. მისომ დაასრულა ახალი ოფისის მომზადება 2013 წლის 12 თებერვალს. აღნიშნული საოფისე ფართი დაგირავებულია ბანკიდან მიღებული სესხის უზრუნველსაყოფად (იხ. მე-15 განმარტებითი შენიშვნა).

განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

11 გაცემული სესხები

	2012 GEL	2011 GEL
ავტომანქანებით უზრუნველყოფილი სესხები	397,484	329,329
ძვირფასი ლითონებით უზრუნველყოფილი სესხები	330,238	170,849
უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხები	304,953	6,829
კომპიუტერული და სხვა ტექნიკით უზრუნველყოფილი სესხები	54,054	35,303
სულ გაცემული სესხები (გაუფასურებამდე)	**1,086,729**	**542,310**
მინუს: სესხის გაუფასურების ანარიცხი	(73,961)	(7,869)
	1,012,768	**534,441**

სესხის გაუფასურების ანარიცხის მოძრაობა 2012 წლის განმავლობაში იყო შემდეგი:

	ავტو-მანქანებით უზრუნველ-ყოფილი სესხები	ძვირფასი ლითონებით უზრუნველ-ყოფილი სესხები	უძრავი ქონებით უზრუნველ-ყოფილი სესხები	კომპიუ-ტერული და სხვა ტექნიკით უზრუნველ-ყოფილი სესხები	სულ
	ლარი	ლარი	ლარი	ლარი	ლარი
2012 წლის 1 იანვარი	**5,105**	**-**	**-**	**2,764**	**7,869**
გაუფასურების ანარიცხი წლის განმავლობაში	55,341	21,589	13,191	17,555	107,676
წლის განმავლობაში ჩამოწერილი თანხები	(33,889)	(652)	-	(7,043)	(41,584)
2012 წლის 31 დეკემბერი	**26,557**	**20,937**	**13,191**	**13,276**	**73,961**

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ხელმძღვანელობა აფასებს არის თუ არა გაცემული სესხების გაუფასურების ობიექტური სამხილი და ამ შეფასების საფუძველზე განსაზღვრავს მომავალ ფულად ნაკადებს ფინანსური აქტივიდან (მათ შორის უზრუნველყოფის ღირებულებას თუ მსესხებლის მიერ გახორციელებული შენატანები არ იქნება საკმარისი სესხის დასაფარად). გაუფასურების ობიექტური სამხილი მოიცავს მონაცემებს, რომლებიც იქცევენ ყურადღებას შემდეგ გარემოებებთან დაკავშირებით:
(ა) მსესხებლის მნიშვნელოვანი ფინანსური სირთულეები;
(ბ) ხელშეკრულების დარღვევა, რაც გამოიხარება პროცენტის ან ძირითადი თანხის გადაუხდელობაში ან დაგვიანებით გადახდაში.

ავტომანქანებით უზრუნველყოფილი სესხები თავდაპირველად გაიცემა 3 თვით, პროცენტის ყოველთვიურად და ძირითადი თანხის ვადის ბოლოს გადახდის პირობით. იმ შემთვევაში თუ ყოველთვიური პროცენტის გადახდა ხდება ვადაგადაცილების გარეშე, ძირითადი თანხის გადახდის ვალდებულება გადავადებადია ყოველი 3 თვის შემდეგ. საშუალო შეწონილი თვიური საპროცენტო განაკვეთი 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გაცემულ სესხებზე იყო 6.56%.

ძვირფასი ლითონებით უზრუნველყოფილი სესხები თავდაპირველად გაიცემა 1 თვით. იმ შემთვევაში თუ პროცენტის გადახდა ხდება ვადაგადაცილების გარეშე, ძირითადი თანხის გადახდის ვალდებულება გადავადებადია ყოველი 1 თვის შემდეგ. საშუალო შეწონილი თვიური საპროცენტო განაკვეთი 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გაცემულ სესხებზე იყო 3.52%.

უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხები თავდაპირველად გაიცემა 5 თვით, პროცენტის ყოველთვიურად და ძირითადი თანხის ვადის ბოლოს გადახდის პირობით. იმ შემთვევაში თუ ყოველთვიური პროცენტის გადახდა ხდება ვადაგადაცილების გარეშე, ძირითადი თანხის გადახდის ვალდებულება გადავადებადია ყოველი 5 თვის

განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

შემდეგ. საშუალო შეწონილი თვიური საპროცენტო განაკვეთი 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გაცემულ სესხებზე იყო 2.99%.

კომპიუტერული და სხვა ტექნიკით უზრუნველყოფილი სესხები თავდაპირველად გაიცემა 15 დღით. იმ შემთვევაში თუ პროცენტის გადახდა ხდება ვადაგადაცილების გარეშე, ძირითადი თანხის გადახდის ვალდებულება გადავადებადია ყოველი 15 დღის შემდეგ. საშუალო შეწონილი თვიური საპროცენტო განაკვეთი 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გაცემულ სესხებზე იყო 20%.

ყველა სესხი გაცემული აშშ დოლარში.

2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გაცემული სესხების საკრედიტო ხარისხი იყო შემდეგი (სესხები, რომელთა გადახდაც აღარ ხდებოდა მსესხებლების მიერ და მისოს გადაწყვეტილი ჰქონდა თანხა მიეღო უზრუნველყოფის რეალიზაციით, კლასიფიცირებულია, როგორც ცუდი სესხები):

	ავტო-მანქანებით უზრუნველ-ყოფილი სესხები	ძვირფასი ლითონებით უზრუნველ-ყოფილი სესხები	უძრავი ქონებით უზრუნველ-ყოფილი სესხები	კომპიუ-ტერული და სხვა ტექნიკით უზრუნველ-ყოფილი სესხები	სულ
	ლარი	ლარი	ლარი	ლარი	ლარი
სესხები ვადაგადაცილებული გადახდების გარეშე	280,255	186,923	239,899	30,760	737,837
სესხები ვადაგადაცილებული გადახდებით	57,786	143,315	65,054	23,294	289,449
ცუდი სესხები	59,443	-	-	-	59,443
სულ გაცემული სესხები (გაუფასურებამდე)	**397,484**	**330,238**	**304,953**	**54,054**	**1,086,729**
მინუს: სესხის გაუფასურების ანარიცხი	(26,557)	(20,937)	(13,191)	(13,276)	(73,961)
სულ გაცემული სესხები	**370,927**	**309,301**	**291,762**	**40,778**	**1,012,768**

12 სხვა აქტივები

	2012	2011
	ლარი	ლარი
მოთხოვნები	10,946	-
არამატერიალური აქტივების ნარჩენი ღირებულება	593	711
	11,539	**711**

მოთხოვნები მოიცავს 10,800 ლარს, რაც მისაღები იყო სადაზღვევო კომპანია „არდი ჯგუფისგან", დაზღვეულ სესხებთან დაკავშირებით.

არამატერიალური აქტივების ნარჩენი ღირებულება არის სხვაობა საბუღალტრო პროგრამის ღირებულებასა (830 ლარი) და დაგროვილ ამორტიზაციას შორის (237 ლარი).

განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

13 ფული და ფულის ეკვივალენტები

	2012	2011
	ლარი	ლარი
ფული სალაროში	34,660	20,288
ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშზე	10,203	453
	44,863	**20,741**

14 მფლობელთა კაპიტალი

მისოს ერთპიროვნული დამფუძნებლის გიორგი გუგუმბერიძის 2011 წლის 12 დეკემბრის გადაწყვეტილება #4-ის შესაბამისად, მისოს საწესდებო კაპიტალი განისაზღვრა ფულადი სახით შესავსები 251,083 ლარით.

15 მიღებული სესხები

	2012	2011
	ლარი	ლარი
გრძელვადიანი		
გრძელვადიანი სესხი ბანკიდან	88,258	-
	88,258	**-**
მოკლევადიანი		-
ბანკიდან გრძელვადიანი სესხის მოკლევადიანი ნაწილი	160,247	174,290
სესხები ფიზიკური პირებისგან	433,227	-
	593,474	**174,290**
სულ მიღებული სესხები	**681,732**	**174,290**

ბანკიდან მიღებული სესხი წარმოადგენს სს „საქართველოს ბანკიდან" 2012 წლის 28 დეკემბერს მიღებული 150,000 აშშ დოლარის სესხის ეკვივალენტს ლარში. სესხი უზრუნველყოფილია საოფისე ფართით (იხ. მე-10 განმარტებითი შენიშვნა) და გელა გუგუმბერიძის (მისოს დამფუძნებლის ოჯახის წევრი) საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი ფართით. სესხზე წლიური საპროცენტო განაკვეთი არის 13% და გადახდა უნდა მოხდეს თანაბარი შენატანებით 2014 წლის 30 ივნისამდე.

2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფიზიკური პირებისგან მიღებულ სესხებზე დარიცხული პროცენტის დაფარვა უნდა მოხდეს ყოველთვიურად, ხოლო ძირითადი თანხის - დაფარვის თარიღში. აღნიშნული სესხები შედგება შემდეგისგან:

	დაფარვის თარიღი	წლიური საპროცენტო განაკვეთი	თანხა აშშ დოლარში	ეკვ. ლარში
დავით ლექვთაძე	31 დეკემბერი 2013	18%	180,000	298,206
გიორგი გუგუმბერიძე	31 დეკემბერი 2013	20%	50,000	82,835
გოდერძი შარვაძე	31 დეკემბერი 2013	20%	31,500	52,186
			261,500	**433,227**

16 გადავადებული მოგების გადასახადი

გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულება არის მომავალში მოსალოდნელ საგადასახადო ეფექტი, რომელიც დაკავშირებულია ძირითადი საშუალებების საბალანსო და საგადასახადო კუთხით გამოქვითვად ღირებულებებს შორის სხვაობასთან. გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულება 2012 და 2011 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით იყო 342 ლარი და 323 ლარი, შესაბამისად და გადავადებული მოგების გადასახადის ხარჯი პერიოდის განმავლობაში იყო 19 ლარი.

განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

17 სხვა ვალდებულებები

	2012	2011
	ლარი	ლარი
სავაჭრო ვალდებულებები	8,625	30,174
მიღებული ავანსები	6,875	-
გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა	1,443	13
	16,943	**30,187**

18 საოპერაციო ლიზინგთან დაკავშირებული ვალდებულებები

მისოს დაქირავებული აქვს საოფისე ფართი (თბილისი, ყაზბეგის ქუჩა 31) უწყვეტი საოპერაციო ლიზინგის (იჯარის) ხელშეკრულებით, რომელსაც ვადა ეწურება 2017 წლის 1 სექტემბერს.

წლის ბოლოსთვის, მისოს ვალდებულებები აღნიშნული ლიზინგიდან გამომდინარე, პერიოდების შესაბამისად, არის შემდეგი:

	2012
	ლარი
1 წლის განმავლობაში	9,940
1 წელზე მეტი, მაგრამ 5 წელზე ნაკლები პერიოდის განმავლობაში	36,447
5 წლის შემდეგ	-
სულ სამომავლო მინიმალური საიჯარო გადასახდელები	**46,387**

19 ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

მომდევნო ცხრილში ილუსტრირებულია არსებითი ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან, რომლებიც განხორციელდა 2012 წლის განმავლობაში და ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	2012
	ლარი
ტრანზაქციები:	
საპროცენტო ხარჯი	25,790
ნაშთები:	
მიღებული სესხები	82,835

ხელმძღვანელობის ანაზღაურება 2012 წელს იყო 22,000 ლარი.

20 საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ განვითარებული მოვლენები

მისომ მიიღო ძვირფასი ლითონებით უზრუნველყოფილი რამოდენიმე სესხი სს „თი-ბი-სი ბანკიდან" ჯამური ოდენობით 285,000 აშშ დოლარამდე და ამ სახსრებით გაზარდა სასესხო პორტფელი.